შეთანხმების ფურცელი
„იაპონიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის „იაპონიის საზღვარგარეთთან თანამშრომლობის მოხალისეთა პროგრამის“ ფარგლებში საქართველოში მოხალისეების გაგზავნის შესახებ“ ნოტების გაცვლის გზით დადებული შეთანხმების თაობაზე

N	შენიშვნის ავტორი	გამოთქმული შენიშვნა	განხილვის შედეგი
1.	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი შეთანხმების დადება.	გათვალისწინებულია
2.	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	იაპონიის მხარის მიერ მოწოდებული „იაპონიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის იაპონიის საზღვარგარეთთან თანამშრომლობის მოხალისეთა პროგრამის ფარგლებში საქართველოში მოხალისეების გაგზავნის თაობაზე“ ნოტების გაცვლის გზით დასადები შეთანხმების პროექტი, რომლის მიმართ, სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია.	გათვალისწინებულია
3.	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	1. შეთანხმების პროექტი წარმოდგენილია არასრული სახით, ვინაიდან ნოტების გაცვლის გზით შეთანხმების დადება გულისხმობს ხელშეკრულების ორივე მხარის ნოტას, რომელთაგან ერთ-ერთი შინაარსობრივად აუცილებლად უნდა გამოხატავდეს პირველად შეტყობინებაზე/ნოტაზე პასუხს. ამასთან, შეთანხმების პროექტის ფარგლებში მიზანშეწონილია განისაზღვროს, რომ საქართველოს მთავრობა წარმოდგენილია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, როგორც ეს ირკვევა ხელმომწერი მხარეების შესახებ შეთანხმების პროექტის ნაწილიდან.	გათვალისწინებულია - დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, საპასუხო ნოტაში იწერება, რომ საქართველოს მხარე ეთანხმება იაპონიის მხარის შეთავაზებას და მასში უცვლელად აისახება იაპონიის მხარის მიერ შემოთავაზებული ნოტის ტექსტი (იხ. საპასუხო ნოტის პროექტი). **არ არის გათვალისწინებული,** ვინაიდან შეთანხმება ორიენტირებულია სოციალურ-ეკონომიკურ სფეროზე, რომელიც მოიცავს სოფლის განვითარებისა და სასოფლო მეურნეობის, განათლების, სპორტის, ახალგაზრდობის, კულტურის, საზოგადოებრივი

			განვითარების სფეროებში თანამშრომლობას. ამიტომაც მიზანშეწონილია, შეთანხმება იყოს მთავრობათაშორისი ხასიათის. ამასთან, ნოტა, როგორც ოფიციალური კორესპონდენცია, იგზავნება საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.
		2. შეთანხმების პროექტის მე-4 პუნქტის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-9 ქვეპუნქტების, ასევე, მე-5 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „თ“ ქვეპუნქტების შინაარსი საჭიროებს მიზანშეწონილობის ჭრილში დამატებით შეფასებას, მათ შორის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პოზიციის მხედველობაში მიღებით, რამდენადაც ისინი მითითებას აკეთებს ამ შეთანხმების პროექტით განსაზღვრული პირების და მათ მიერ გასაწევი საქმიანობის გადასახადებისგან გათავისუფლების საკითხზე. ამასთან, მიგვაჩნია, რომ შეთანხმების პროექტის მე-4 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი, ისევე როგორც ამავე შინაარსის მე-5 პუნქტის 2 (c) ქვეპუნქტი ამოღებული უნდა იქნეს ხსენებული პუნქტებიდან. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით დამატებით შევნიშნავთ, რომ ჩამოთვლილი დებულებების შეთანხმების პროექტში მოცემული რედაქციით დატოვების შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-7 ნაწილის დანაწესი ამ კოდექსით დადგენილ დაბეგვრის რეჟიმთან დაკავშირებით საერთაშორისო რატიფიცირებული ხელშეკრულების უპირატესი ძალის თაობაზე. ამდენად, წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი დაექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.	**გათვალისწინებულია** - ტექსტი დაიხვეწა მთარგმნელობითი თვალსაზრისით, ხოლო ფინანსთა სამინისტროს შენიშვნის შესაბამისად, შეთანხმება დაექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას, რაც უპირატეს ძალას მიანიჭებს შეთანხმებას კოდექსთან მიმართებით.
		3. შეთანხმების პროექტის ფარგლებში ამოღებული იქნეს მითითება შეთანხმებით განსაზღვრული კონკრეტული კატეგორიის პირების „პრივილეგიებით“ („privileges”) სარგებლობასთან დაკავშირებით, რამდენადაც ხსენებული ტერმინი საერთაშორისო სამართალში გამოიყენება სრულიად სხვა სამართლებრივი მოცემულობის - საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათი წევრების, აგრეთვე, დიპლომატიური წარმომადგენლობებისთვის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მინიჭების აღმნიშვნელ ტერმინად, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის.	**არ არის გათვალისწინებული** - პრივილეგიები, წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის მოიცავს მხოლოდ საგადასახადო შეღავათებს, როგორც ეს მოცემულია მე-4 მუხლში. პრივილეგიების მინიჭება ურთიერთშეთანხმების საკითხია და მისი მინიჭების პრაქტიკა უკვე არსებობს 2007

			წლის 8 მარტის „საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებაში. ამასთან შეთანხმებით გათვალისწინებულია მოხალისეთა (JOCV) გათანაბრება სხვა დიპლომატიური წარმომადგენლობების პერსონალთან.
		4. შეთანხმების პროექტის მე-4 პუნქტის მე-6 ქვეპუნქტში მოცემული „საცხოვრებლის შეთავაზების“ („housing”) საკითხი საჭიროებს დამატებით შეფასებას, ამ ვალდებულების ქართული მხარის მიერ შესრულების მიზანშეწონილობის ჭრილში; ამავე შეფასებისას უნდა განისაზღვროს მომავალში ხსენებული ვალდებულების შემსრულებელი შესაბამისი უწყება, ამავე ვალდებულების შესასრულებლად საჭირო ხარჯების საკითხი და სხვა.	**არ არის გათვალისწინებული** - ანალოგიური პირობა გათვალისწინებულია 2007 წლის 8 მარტის „საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებით. გარდა ამისა, იაპონური მხარის განცხადებით, რაც არაერთხელ დაადასტურეს ვერბალურად, ასევე, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო დაფარავს მოხალისეების საცხოვრებლისთვის განკუთვნილ ხარჯებს და ქართულ მხარეს ამასთან დაკავშირებით არ შეექმნება პრობლემა.
		5. შეთანხმების პროექტის ფარგლებში მიზანშეწონილია დამატებით დაზუსტდეს, თუ რას ნიშნავს „უცხოური ვალუტის დაფარვის სერტიფიკატი“.	**არ არის გათვალისწინებული** - უცხოური ვალუტის

			დაფარვის სერტიფიკატს ქართული პრაქტიკა არ ითვალისწინებს, ვინაიდან საქართველოში არ ხდება სერთიფიკატის მოთხოვნა უცხოური ვალუტის გადახურდავებისთვის. აღნიშნულის საჭიროება იაპონიის მხარეს წარმოექმნება ცალკეულ სახელმწიფოებში, რომლებიც ითხოვენ ანალოგიური სერთიფიკატის წარდგენას.
		6. შეთანხმების პროექტის მე-4 პუნქტის მე-8 ქვეპუნქტსა და მე-5 პუნქტის 2 (g) ქვეპუნქტში მიზანშეწონილია დაზუსტდეს, თუ რას გულისხმობს „საიდენტიფიკაციო მოწმობის“ („identification card“) გაცემა, რამდენადაც თუ მასში მოიაზრება "საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა", იგი, საქართველოს კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე არ გაიცემა; ხოლო იმ შემთხვევაში თუ ხსენებულში იგულისხმება „დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა“, აღნიშნული გაიცემა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამდენად, ეს საკითხი საჭიროებს დამატებით დაზუსტებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი რეგულაციების ფარგლებში.	**არ არის გათვალისწინებული** - აღნიშნულ პირებზე, ისევე როგორც JICA-ს პერსონალზე, გაიცემა სააკრედიტაციო ბარათები.
		7. შეთანხმების პროექტის მე-5 პუნქტის 2 (g) ქვეპუნქტიდან ამოღებული უნდა იქნეს დებულება აეროპორტებში შესასვლელად საპასპორტო-საკონტროლო პუნქტის მიღმა JICA-ს კოორდინატორებისთვის სპეციალური საშვების გაცემის თაობაზე.	**არ არის გათვალისწინებული** - JICA-ს კოორდინატორებისთვის გაცემული სააკრედიტაციო ბარათი მიანიჭებს მათ შესაძლებლობას შევიდნენ აეროპორტებში საპასპორტო-საკონტროლო პუნქტის მიღმა. მათთვის მინიჭებული იქნება იგივე პრივილეგიები, რაც ენიჭებათ დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალს.

		8. შეთანხმების პროექტის მე-4 პუნქტის მე-9 და მე-10 ქვეპუნქტებში, ასევე, მე-5 პუნქტის 2 (e), (h) ქვეპუნქტების ფარგლებში მიზანშეწონილია დაზუსტდეს, რას მოიცავს ქართული მხარის მხრიდან „ხელსაყრელი პირობების შეთავაზება“ (“convenience for procedures/convenience for acquisition”), ვინაიდან, აღნიშნული მოქმედებები, ზოგადად, განხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად.	**გათვალისწინებულია** - ქართულენოვანი ტექსტი დაიხვეწა მთარგმნელობითი თვალსაზრისით და შესაბამისობაში მოვიდა ინგლისურენოვან ტექსტთან. კერძოდ, მე-4 პუნქტის მე-10 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „შესთავაზებს ავტომანქანის მართვის მოწმობის მოპოვების შესაძლებლობას“;
		9. შეთანხმების პროექტის მე-4 პუნქტის მე-11 ქვეპუნქტი და მე-5 პუნქტის 2 (i) ქვეპუნქტები ამოღებული უნდა იქნეს შეთანხმების პროექტის ტექსტიდან, რამდენადაც ისინი ძალიან ზოგადია და არ იძლევიან ნათელ წარმოდგენას, თუ რა ვალდებულებების შესრულება მოუწევს მომავალში საქართველოს მთავრობას ამ შეთანხმების შესრულების მიზნით.	**არ არის გათვალისწინებული** - აღნიშნული პირობა შესრულდება მხოლოდ შეთანხმების განხორციელების მიზნებისთვის. გარდა ამისა, შინაარსობრივად მსგავსი დებულება მოცემულია 2007 წლის 8 მარტის „საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებაში.
		10. შეთანხმების პროექტის მე-6 პუნქტის შეთანხმების პროექტის ტექსტში დატოვების საკითხი საჭიროებს დამატებით განხილვასა და მიზანშეწონილობის ჭრილში გადაწყვეტას. ვინაიდან, ბუნდოვანია თუ როგორ უნდა მოხდეს „არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმის“ მინიჭების და შეფასების კრიტერიუმის განსაზღვრა „ნებისმიერი მესამე ქვეყნის ან ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის მოხალისეებისათვის, კოორდინატორებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის“ დაწესებულ რეჟიმთან მიმართებით წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის კონკრეტული რეგულირების სფეროს გათვალისწინებით.	**არ არის გათვალისწინებული** - აღნიშნული მოპყრობა განხორციელდება მათი სტატუსის შესაბამისად, რომელიც უთანაბრდება ზოგადად ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისთვის გათვალისწინებულ შეღავათებს. ამასთან, ანალოგიური დებულება მოცემულია 2007 წლის 8

		11. შეთანხმების პროექტის მე-10 პუნქტის ფარგლებში უნდა დაკონკრეტდეს ამ შეთანხმების პროექტში ცვლილებებისა და დამატებების ძალაში შესვლის წესი. ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შეთანხმების პროექტის ფარგლებში განისაზღვროს მხარეებს შორის წარმოშობილი უთანხმოების მოგვარების თაობაზე შესაბამისი დებულება.	მარტის „საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმებაში. **არ არის გათვალისწინებული** - ვინაიდან შეთანხმება ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას, ნოტების გაცვლა ფორმალურად მოხდება შეთანხმების რატიფიკაციის შემდგომ. **არ არის გათვალისწინებული** - შეთანხმების მე-9 პუნქტით გათვალისწინებული მექანიზმი მოიცავს კონსულტაციებს შეთანხმების შეუფერხებლად განსახორციელებლად. შესაბამისად, აღნიშნული ფორმატი იქნება გამოყენებული წამოჭრილი უთანხმოების მოსაგვარებლად.
4.	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	აღნიშნული შეთანხმების გაფორმების მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტა სცილდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებს. ამასთან, შესაბამისი დარგობრივი სამინისტროს/უწყების მიერ შეთანხმების გაფორმების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ არის წინააღმდეგი გაფორმდეს ხსენებული შეთანხმება. ამასთან, გასათვალისწინებელია ჩვენ მიერ, მიმდინარე წლის 09 აგვისტოს N08-02/87051 წერილით წარმოდგენილი შენიშვნა/პოზიცია: უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის მე-4 და 5.2 პუნქტები ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათების მინიჭებას როგორც „იაპონიის	**გათვალისწინებულია** **გათვალისწინებული იქნება** - შეთანხმება დაექვემდებარება

		მოხალისეთა საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობისათვის“ (JOCV), ასევე იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) წარმომადგენლებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის. საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა აღნიშნული პირებისათვის საგადასახადო შეღავათებს არ ითვალისწინებს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე7 ნაწილის მიხედვით კი, გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებულ საკითხზე ამ კოდექსთან უპირატესი იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ და ძალაში შესულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოხსენებულ პირებს შესაბამისი საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცემათ წარმოდგენილი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების ან საქართველოს საგადასახადო კოდექსში/საბაჟო კოდექსში შესაბამისი დებულებების ასახვის შემთხვევაში.	საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას **გათვალისწინებული იქნება** - შეთანხმება დაექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას
		გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზემოხსენებული პუნქტები, გადასახადებისაგან გათავისუფლებასთან ერთად, ითვალისწინებს აღნიშნული პირების გათავისუფლებას ლიცენზიებისა და სერტიფიკატების წარდგენის ვალდებულებისაგან, მათი ბარგის, პირადი ნივთებისა და სამომხმარებლო საქონლის შემოტანის შემთხვევაში. განსაკუთრებით საყურადღებოა შეთანხმების პროექტის 4.1 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, იმპორტის ლიცენზიებისა და სერტიფიკატების წარდგენის ვალდებულებისაგან გათავისუფლება ასევე უნდა გავრცელდეს ზემოხსენებული პირების მიერ აღჭურვილობის, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების და მასალების შემოტანისას.	**გათვალისწინებული იქნება** შემოსატანი საქონლის სახეობა იქნება განსაზღვრული და გამოყენებული მხოლოდ შეთანხმების მიზნებისთვის.
		ვინაიდან ცალსახად არ იკვეთება თუ რა სახის „იმპორტის ლიცენზიების“ ან „სერტიფიკატებისაგან“ გათავისუფლებას ითვალისწინებს წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი და ასევე უცნობია ამ შეთანხმების ფარგლებში შემოსატანი საქონლის სახეობა (მით უფრო ამ პროექტის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, რომლითაც იკრძალება შესაბამისი საქონლის სამხედრო მიზნებისათვის გამოყენება და არსებობს ვარაუდი, რომ შესაძლებელია შემოტანილი საქონელი წარმოადგენდეს სამხედრო ან ორმაგი დანიშნულების პროდუქციას, ან სხვაგვარად ექვემდებარებოდა სერტიფიცირებას ან ლიცენზირებას), საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს აღნიშნული „იმპორტის ლიცენზიების“ ან „სერტიფიკატებისაგან“ გათავისუფლების შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობაზე.	მიღებული აღჭურვილობის, ცოდნის, ტექნიკური და სატრანსპორტო საშუალებების სამხედრო მიზნებით გამოუყენებლობის თაობაზე დებულება წარმოადგენს იაპონიასთან დახმარების შეთანხმებების სტანდარტულ პირობას და იგი გამოიყენებოდა აგრეთვე აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტობანის დაფინანსების მიზნით ნოტების გაცვლის

		ამასთან, პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის გარეშე.	გზით დადებულ შეთანხმებაში. **გათვალისწინებული იქნება**
5.	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში წინამდებარე შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით აქვს შემდეგი შენიშვნები და წინადადებები: ბუნდოვანია და საჭიროებს დაკონკრეტებას მე-4 მუხლის მე-9 პუნქტსა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის (თ) ქვეპუნქტში მოცემული შემდეგი დებულება - "ნებართვა საქართველოში შემოსვლაზე, გასვლასა და ყოფნაზე მივლინების მანძილზე." საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მიზანშეწონილად მიიჩნევს ხსენებული დებულება ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით: "მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემოსვლა, გასვლა და ყოფნა." აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის №255 დადგენილების თანახმად („იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა"), იაპონიის მოქალაქეებს აქვთ საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და სრული 1 წლის ვადით ყოფნის უფლება.	ნებართვა გულისხმობს მოხალისეთა პროგრამის განხორციელების პერიოდში, მოხალისეთა საქართველოში მივლინების მიზნით, საქართველოს მხარის მიერ გაცემულ სააკრედიტაციო ბარათს, რომელიც წამოადგენს მათი ლეგალურად ყოფნის საფუძველს. **არ არის გათვალისწინებული.** შეთანხმება მკაფიოდ განსაზღვრავს საქართველოში მოხალისეთა ყოფნის სამართლებრივ საფუძვლებს. შეთანხმების შესაბამისად პირებს შესაძლოა დასჭირდეთ 1 წელზე მეტი ხნით ყოფნა საქართველოში, რასაც შეთანხმება დაარეგულირებს, როგორც უპირატესი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი.
6.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მიზანშეწონილად მიიჩნევს, შეთანხმების პროექტის მე-4 მუხლის მე-5 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „(5) ხელსაყრელი პირობების შეთავაზება სამედიცინო დახმარების მისაღებად საჭირო სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფით, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად" (ინგლისურში: Offer of the convenience for receiving medical care with necessary medical facilities ensured in accordance with the national legislation).	**არ არის გათვალისწინებული,** აღნიშნული ვალდებულება სახელმწიფოს არ აკისრებს დიდ ტვირთს. გარდა ამისა, ანალოგიური პირობა გათვალისწინებულია 2007 წლის 8 მარტის „საქართველოს

			მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებით.
7.	საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ აქვს.	**გათვალისწინებულია**
8.	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	გაცნობებთ, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.	**გათვალისწინებულია**
9.	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	გაცნობებთ რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიესალმება აღნიშნულ ინიციატივას და ნოტების გაცვლის გზით დასადებ შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნია.	**გათვალისწინებულია**